

შპს „სიდო“

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
მოგება-ზარალის ანგარიშგება
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
ფულადი სახსრების მძრაობის უწყისი
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები



სააგროველო შ.პ.ს. „სიდო“
S/DO
21404531
GEORGIA
“S/DO” LTD

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლისათვის
შპს"სილო" 211404531

საქართველო, ქ.თბილისი,
 აკაკი ბერიძის ქ. 104

ქართული ლარი(GEL)

	საანგარიშო პერიოდის დასაწყისი 01.01.2024	საანგარიშო პერიოდის დასასრული 01.01.2025
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სასრები	1105650.62	825947.91
მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	69101.00	16914.05
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3672523.97	4627695.08
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	534347.60	246374.67
წინასწარ გაწეული ხარჯები	1320.75	3270.94
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-
სულ მიმდინარე აქტივები	5382943.94	5720202.65
გრძელვადიანი ფიქსირებული აქტივები		
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-
ქონება და სხვა ძირითადი საშუალებებ	2366832.06	2541502.11
(მინუს დაგროვილი ცვეთა)	-678853.08	-736079.62
არამატერიალური აქტივები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	1687978.98	1805422.49
სხვა აქტივები		
მიღებულ ავანსებზე გადახდილი დვ	46298.77	100540.77
საგადასახადო მოთხოვნები	-	-
სხვა დარიცხული მოთხოვნები	2100.00	-
სულ სხვა აქტივები	48398.77	100540.77
მთლიანი აქტივები	7119321.69	7626165.91
ვალდებულებები და კაპიტალი		
მიმდინარე ვალდებულებები		
საფაქტო ვალდებულებები	5209.45	4719.61
მიღებული ავანსები	321471.12	662944.42
ავანსებზე ჩათვლილი დღვ	640.7	0
საგადასახადო ვალდებულებები	65060.98	52108.12
გადასახდელი ხელფასები	-	-
გადასახდელი პროცენტები, დივიდენდები	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-
გადავადებული შემოსავალი	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწი	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	392382.25	719772.15
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-
სხვა	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	392382.25	719772.15
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2000.00	2000.00
დაგროვილი მოგება	6724939.44	6904393.76
დაუფარავი ზარალი	-	-
რეზერვები და სხვა დაფინანსება	-	-
სულ კაპიტალი	6726939.44	6906393.76
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	7119321.69	7626165.91
ფინანსური კოეფიციენტები		
Debt Ratio სულ ვალდებულებები/მთლიანი აქტივები	-	-
Current Ratio მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები	16	9
Working Capital მიმდინარე აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები	5036860	5052539
Assets-to-Equity Ratio მთლიანი აქტივები / კაპიტალი	1	1
Debt-to-Equity Ratio სულ ვალდებულებები / კაპიტალი	-	-

მოგება-ზარალის უწყისი 2024 წლისათვის
შპს"სიღო" 211404531

საქართველო,ქ.თბილისი,აკაკი ბელიაშვილის 104

ქართული ლარი(GEL)

	2024 წელი		2023 წელი		2022 წელი	
მაჩვენებლების დასახელება	შემოსავალი/მ ოგება	ხარჯი/ზარალ ი	შემოსავალი/მ ოგება	ხარჯი/ზარა ლი	შემოსავალი/მ ოგება	ხარჯი/ზარა ლი
რეალიზაცია რ.პ.თ.	8781871.23	5,911,114.56	8,068,380.86	5,225,307.00	7,298,160.92	4,881,713.40
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	2,870,756.67		2,843,073.86		2,416,447.52	
სხვა სამეწარმეო შემოსავალი	294139.96		145000.09		298586.38	
სამეწარმეო და აღმზრდელისტრაციული ხარჯები		1,406,710.65		1,251,501.50		1,022,060.41
ხარჯები შრომის ანაზღაურებაზე		1044870.43		905241.05		686889.62
საიჯარო ქირა		56589.84		58807.68		55983.86
საკანცელარიო ხარჯი		3091.19		2123.23		2516.68
კომუნიკაციის ხარჯი		11814.19		9875.60		6721.31
კომუნალური ხარჯი		36656.52		33197.81		29,212.97
საწვავის და ავტო მიმდინარე რემ.ხარჯი		15,061.73		18,500.75		22,442.89
დაცვის მომსახურების ხარჯი		6745.22		6382.86		5893.36
კომპიუტერის ხარჯი		7179.23		3363.35		1752.93
დაზღვევის ხარჯი		4221.24		1905.49		1794.74
ძ/ს ცვეთა ამორტიზაცია		75600.74		65713.19		55862.56
საგადასახადო ხარჯი		16355.07		16142.25		14088.57
სოციალური(საპენსიო) ხარჯი		14256.45		12054.61		8666.88
საბანკო მომსახურების ხარჯი		59,871.96		62,303.75		60203.60
მივლინების ხარჯი		0.00		13,316.26		0.00
წარმომადგენლობითი ხარჯები		189.54		4442.16		2,590.16
რეკლამის ხარჯი		35545.47		10609.56		1,954.66
სხვა საერთო ხარჯი		18,661.83		27,521.90		65,485.62
მოგება(ზარალი)საოპერაციო საქმიანობიდან	1,758,185.98		1,736,572.45		1,692,973.49	
მოგება(ზარალი)არასაოპერაციო საქმიანობიდან	34,906.93	213,364.65	38,799.08	4,641.63	22,600.72	111,327.34
საპროცენტო შემოსავლები	19344.70		20804.59		17,911.31	
მოგება სავალუტო პოზიციებიდან	15424.87		6400.85		0.00	
სხვა ფინანსური შემოსავალი	0.00		0.00		0.00	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	137.36		11593.64		4689.41	
ზარალი სავალუტო პოზიციებიდან		6684.61		4084.71		109920.01
სხვა არასაოპერაციო ზარალი		206,680.04		556.92		1,407.33
საერთო მოგება სამეწარმეო საქმიანობიდან	1,579,728.26		1,770,729.90		1,604,246.87	
გასაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები	-	212,088.22	-	133,191.05	-	21,306.75
საქველმოქმედო ხარჯი		1,680.00		1,680.00		1,680.00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	210408.22	-	131511.05	-	19626.75
წლის გაუნაწილებელი მოგება	1,367,640.04		1,637,538.85		1,582,940.12	

კაპიტალში ცვლილების უწყისი 2024 წლისათვის
შპს"სიღო" 211404531

საქართველო,ქ.თბილისი,ა
კაკი ბელიაშვილის 104

ქართული ლარი(GEL)

საწყისი კაპიტალი	6726939.44
საწესდებო კაპიტალი	2000
გაუნაწილებელი მოგება	6724939.44
კაპიტალის მოძრაობა	
წლიური საფინანსო შედეგი	1367640.04
გაცემული დივიდენდი	§ (1,188,185.72)
საბოლოო კაპიტალი	6906393.76
საწესდებო კაპიტალი	2000
გაუნაწილებელი მოგება	6904393.76

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2024 წლისათვის
შპს"სიღო" 211404531

საქართველო, ქ.თბილისი, ა
 კაკი ბელიაშვილის 104

	ქართული ლარი(GEL)
მიღებულებიდან და დამკვეთებიდან მიღებული ფულადი სახსრები	§ 10,478,053.08
საპროცენტო შემოსავალი	§ 19,019.83
თანამშრომელზე გაცემული ფულადი სახსრების დაბრუნება	§ 2,100.00
კურსთაშორისი სხვაობა	§ 9,801.22
თანამშრომელზე სესხად გაცემული ფულადი სახსრები	§ -
თანამშრომელზე ხელფასად გაცემული ფულადი სახსრები	§ (805,213.67)
თანამშრომელზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა	§ -
გადახდილი გადასახადები	§ (2,107,017.34)
მომწოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები	§ (6,559,550.21)
სხვა ხარჯები	§ (5,247.68)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,031,945.23
ძირითადი საშუალების შეძენა	§ (182,870.94)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	-
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	§ (182,870.94)
გაცემული დივიდენდები	§ (1,128,777.00)
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	§ (1,128,777.00)
	(279,702.71)

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	
საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1105650.62
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	825947.91
წმინდა ზრდა(შემცირება)	-279702.71

(0.00)

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „სილო“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2001 წლის 9 მარტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 211404531

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა სანტექნიკური მოწყობილობებით. შპს „სილო“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 10 ბრენდის, 2000-მდე დასახელების პროდუქციის იმპორტს და რეალიზაციას. კომპანია აღნიშნული პროდუქტების იმპორტს ახორციელებს ევროპის ქვეყნებიდან.

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია 3 სანტექნიკური მაღაზია სახელწოდებით „აქვარუმი“ და სასაწყობე მეურნეობა ქ.თბილისში, ასევე ერთი სანტექნიკური მაღაზია „აქვარუმი“ ბათუმში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის 104. კომპანიის დირექტორია დავით თაბაგარი.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში შეადგენს:

1. 01025004985, დავით თაბაგარი	34%
2. 01010004682, ამირანი მალლაკელიძე	33%
3. 53001007188, ზვიად ფაჩუაშვილი	33%

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგეს 2000 (ორიათასი) ლარს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. იგი მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. კომპანია არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2024 წელს და სრულდება 2024 წლის 31 დეკემბერს.

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება კომპანიის სალაროში არსებული ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები

კომპანია სრულად აკონტროლებს დებიტორულ მოთხოვნებს, მას არ გააჩნია საექვო ვალეები. შესაბამისად არ არის საჭიროება, რომ შეიქმნას რეზერვი საექვო ვალეებზე.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	50 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
საოფისე ავეჯი	8 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	10 წელი
საოფისე ინვენტარი	5 წელი
კავშირგაბმულობის საშუალებები	5 წელი
სარეკლამო საშუალებები	5 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ამორტიზაციის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.
გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. საქონლის უკან დაბრუნების შედეგი აკლდება შემოსავალს, იმ პერიოდში, როცა განხორციელდა უკან დაბრუნება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.